კონსტანტინე გამსახურდიამ აღორძინა კომუნისტური ურჩხულის ბატონობის პირობებში ეროვნული ერთიანობისა და მთლიანობის იდეა და თავის დიდ ნაწარმოებებში ცოცხალ, რეალურ ძალად აქცია.

მიმე იყო ხვედრი დიდოსტატისა, ერისკაცისა, რომელიც მთელს თავის გულსა და სულს, მთელს თავის პოზიციას და ინტელექტს დებდა თავის უკვდავ ნაწარმოებში ისევე უშურველად და მართლად, როგორც თავად იყო. მისი გზა იყო გზა სიმართლისა და თავისუფლებისა. იგი ამ ორ დიდ მაცოდებლებელ წყაროს ეწაფებოდა და შემდეგ, ეროვნული მადლით აღვსილი, გადმოღვრიდა ხოლმე თავის რომანებსა და ნოველებში.

ვის რომანებსა და ნოველებში. მან იმიტომაც გააცოცხლა ჩვენი დიდი ისტორიული წარსული თავის ბრწყინვალე ისტორიულ რომანებში, რომ დაენახებინა როგორც მტრისათვის, ისე მოყვრისათვის, თუ რა დიდი წარსული გვქონდა ქართველებს და რა დიდი შესაძლებლობები შეგვაჩვენა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილებაში.

მისი დიდი შემოქმედება ასევე დიდი პოლიტიკაც იყო, საქართველოს სულიერი გადარჩენისათვის მოწოდებული. იგი მხატვრული ენითა და მომხიბვლელი სახეებით გადმოსცემდა თავის პოლიტიკურ მრწამსს, თავის პოლიტიკურ კონცეფციას, მიმართულს საქართველოს განთავისუფლებისაკენ, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს შენებისაკენ. მის „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „ღავით აღმაშენებელში“ მთელი პოლიტიკურ-სოციალური პროგრამა მოცემულია, რომელიც უთუოდ გამოადგება ყველას, ვინც ქართველი ერის თავისუფალი მომავლისათვის იბრუნებს. ფილოსოფიის დოქტორის არასოდეს გამოპარვია ქართველი ერის თვით ძნელად შესამჩნევი სურვილები და მისწრაფებები. ისტორიულ წარსულში გამარჯვებულნი და წარმატებულნი ისტორიულ ფურცლებთან მოლაპირე ყურადღების გარეშე არ რჩებოდა შეცდომებიც, სუსტი მხარეებიც. მართალია, მისი რომანები, მისი შემოქმედება სავესტრომანტიკული ფერებით, მაგრამ მის ნაწარმოებებს არც სალი რეალისტისა და კრიტიკულად განწყობილი მოახრთვინის გონითი თვალაქია.

დღეს, როდესაც ვიბრძვით საქართველოს რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, აუცილებელია კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიულ რომანებს, მის შთაბეჭდველ

გმირებს. განა ქართული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის მდიდარ მასალას არ შეიცავს „დიდოსტატის მარჯვენა“? განა ქართული სახელმწიფოს შემდგომი აღშენებისა და აღორძინების ნათელ მაგალითებს არ გვაძლევს ისტორიული ეპოპეა „ღავით აღმაშენებელი“?

ვინც შეეცდება ღრმად ჩაწვდეს კონსტანტინე გამსახურდიას ფენომენს, როგორც ერთ-ერთ ქართულ საოცრებას, მან უსათუოდ მთლიანობაში უნდა გაიაზროს და აღიქვას ამ დიდი შემოქმედის მთელი ცხოვრების გზა და მდიდარი შემოქმედებითი ნაღვავი. ასევე, ვინც ცდილობს კონსტანტინე გამსახურდიას რომელიმე გმირის სიღრმისეულ შეცნობას, მისი ნაწარმოებების გაგებას, მან უთუოდ ერთიანობაში უნდა დაინახოს და შეისისხსოვროს მისი შემოქმედების ყველა ნაყოფი. განა დავით აღმაშენებლის მოდელი არ იგონება და იგულმგობება გიორგი პირველის სახეში, რომელიც მთელი თავისი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით არის დახატული? განა თამარის, მეგრძოლის, მაგრამ მშვენიერი ქართველი ქალის ცოცხლად განსახიერებული იდეის მადლი არ იკვეთება შორენას ორიგინალურ სახეებაში?

სოციალური, პიროვნული პრობლემები შესანიშნავადაა შეწყვეტილი ეროვნულ საკითხებთან, ქართველი ხალხის სატეგართან. როცა დიდი კონსტანტინე გიორგი მეფის, შორენას, არსაკიძისა და დავითის სახეებს ქმნიდა, როდესაც იგი აღწერდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რთულ, მაგრამ ნათელ ფურცლებს, მაშინ საქართველო გმინავდა მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის უღელქვეშ და როგორც არასდროს, ისე სჭირდებოდა მშობლიურ ერს მისი დიდი და გმირული სახელმწიფოებრივი წარსულის გახსენება. ამას ხვდებოდნენ

მტრები. კრემლი და მისი აგენტები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეზღუდათ დიდი მწერალი. მას მუდმივად სდევნიდნენ. მაინც არ ეპაუებოდა მტერს და აცოცხლებდა სვეტიცხოველს, აცოცხლებდა ქართულ ისტორიულ სულს, მომავლისთვის განკუთვნილს.

შთაბეჭდვით კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულება რელიგიასთან. იგი, დიხანც, ღირსეულად აფასებდა საქართველოს რელიგიურ წარსულს, ქართულ რელიგიურ განწყობილებას და სრულიად არ უბრძანებდა ქართულ წარმართობას იმ რელიგიურ ღონეს, რომელსაც ქართველმა ერმა ქრისტიანობის მიღებით მიიღო. ერთი ღმერთისაკენ სწრაფვა ყოველთვის შეიძინებოდა ქართველს და ეს მოწოდება სამსახურავანი, მაგრამ ერთი ღმერთისადმი ცხადად განსხვავდება იმ გზაზე, რომელსაც მიჰყვება ქართველი ხალხი, როგორც ქრისტიანი ერთი. იგი ღრმა ქრისტიანი იყო და ქრისტიანობა მასში ეწყალებოდა იმ ნების თავისუფლებას, რომელსაც თავადვე ეფუძნება ეს უდიდესი და უღირსეულები რელიგია, თავისივე ჰუმანიური მსოფლმხედველობით.

კალამწიფართული და სატეგარ-შემართული ცხოვრობდა იგი და მისი ცხოვრება თავად იყო ბრძოლა. იგი იბრძოდა ქართული ერის გადარჩენისათვის, ქართული კულტურის ძეგლების შენარჩუნებისათვის, ქართული ქალაქის და სოფლის, ქართული ფილოსოფიისა და ფაუნის, ქართული შემოქმედებითი შესაძლებლობების არსებობისათვის. იგი თავად წარმოადგენდა ცოცხალ მაგალითს ქართული მეგრძოლი და შეუპოვარი სულისა, რომელიც შინაგანადაა თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით აღსავსე.

ის ნაწარმოებებიც კი, რომელიც მან მის თანამედროვე ვითარებას უძღვნა, სავესტრომანტიკული სურათების და მთლიანობისაკენ სწრაფვით დამოუკიდებლობისაკენ. როდესაც კითხულობ „მთავრის მოტაცებას“ და ხედავ თუ როგორ სურს მტარვალ იმპერიას შენი საშობლოს მოსპობა და შენი ისტორიული არსებობის მოტაცება, შენი მიწისა და წყლის წართმევა, მაშინვე ცოცხლდება შენი თარაშემგვარი და საქართველოს გადარჩენისა და თავისუფლების მებრძოლთა რიგებში დგები. ამიტომაც ბუნებრივად აღიქმება ჩვენი სურ-

ვლი, კვლავ ვხედავდეთ დიდი მწერლის ხატებას იმ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე, რომელიც მოწოდებულნი არიან საქართველოს დამოუკიდებლობის დაკვიდრებისათვის.

მიმე ხვედრი ერგო კონსტანტინე გამსახურდიას ფიზიკური სიცოცხლის დისრულტის შემდეგაც. მოსკოვი და მისი აგენტები ახლა მის ნაწარმოებებს დევნიდნენ და ავირთებდნენ, იგი კვლავ რჩებოდა „საშიშ“ მწერლად.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ დიდი კონსტანტინე ქარის წისკილებს კი არ ებრძოდა, როგორც ეს ზოგს ეგონა, არამედ სრულიად შეგნებულად და მიზანმიმართულად იღვწოდა რუსეთის იმპერიის დამპყრობლური და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს რომ შესაძლებელია და დასაშვებია, ამაზე ცხადად შეტყველებს დღევანდელი ქართული ეროვნული მოძრაობის მასშტაბები. კრემლის მსახურები მის ებრძოლებენ მაშინაც, როცა მის ძეგლს დამდნენ თბილისში, რომელმაც დიდი მწერლის თავისი მცემლობა აშკარა უქმყოფილება გამოიხატა. მასისთვის კომუნისტური „სიამაყით“ დაკურებდა ამ ძეგლს სახეიმო გახსნისას, მაღალ ტრიბუნაზე შემართული კაცი, რომელიც საქართველოს მზის ამოსვლას, ჩვენს სამშუხაროდ, ჩრდილოეთიდან ხედავდა. არადა რას იფიქრებდა იგი, სულ რაღაც შეიძლოდა წლის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას უკვდავი სახე განსხვავებულია 1990 წლის 28 ოქტომბერს, როცა უსისხლო რევოლუციის შედეგად საქართველოში სამუდამოდ დაემხო კომუნისტური რეჟიმი. ამაოდ ცდილობდა ჩრდილოეთის მზის მოტრფიალე ეროვნული მოძრაობის მოსპობას, დიდი კონსტანტინეს ნამოღვაწარის წარბოცვას, თვით უკვლურებას რეპრესიებშიც კი, მის მტარვალ ტარებულმა, ვერ ჩაკლეს ქართული სული, ვერ დაძლიეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება.

და დღეს მთელს საქართველოში ხარობს საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის იდეა, ხარობს ცოცხალი სვეტიცხოველის — კონსტანტინე გამსახურდიას დიდი და ნათელი სული.

ზურაბ ზაზნიძე

## კონტაქტები კრასნოსკის მეთორმეტე მოგზაურობა



**ბატონი** გიორგი კრასნოსკი, პარიზის მკვლერი, გაგრანგული რუსი გახლავთ. თავისი ასაკით (დაბადებული 1915 წელს), გარეგნობითა და მოქმედებით სერვანტის უკვდავ დონ-კიხოტს ჩამოკავს. ოღონდაც ეს არის, რომის ნანტის ნაცვლად ველოსიპედზე ამხედრებულია, ხოლო ერთგულ თანამგზავრებად თავისი წინაპრების — სლავური მოდგმის ხალხთა შვილები შეურჩევიან, რომელთა სახელსა და გვარსაც ასაკის მიხედვით მოგახსენებთ.

გაციანით, ბატონებმა ნიკოლა პეტროვი (1911), ბორის კორიაგინი (1926), ვსევოლდ ოსიპოვი (1926), სტანისლავ ჟიდეკოვი (1927), სტეფან შკლიანიკი (1929), გიორგი გონჩაროვი (1930) და ალიოზ ფილიპენკო (1931).

ყველა ისინი, გარდა ბატონი ალიოზისა, რომელიც 23 აპრილს ბაქოში დაწვებულ ექსპედიციას ეროვნულ შეურთდება, 2 მაისს, საქართველოს მშვიდობის ფონლისა და საქართველოს ურბანლისტა დამოუკიდებელი კავშირის სტუმრები იყვნენ. საგანგებო პრესკონფერენციაში ჯერ თავიანთი მისიის შესახებ გატაცებით ჰყვებოდნენ, შემდეგ კი ურბანლისტებისა და სხვა სპეციალიზირებული მრავალ შეკითხვას უპასუხეს.

ჩვენი სტუმრების სიტყვებისა და მათ მიერ გავრცელებული ფურცლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ველომოგზაურ ბერიკაცებს მეტად კეთილი მისია დაუსახავთ. გავროს და იუნკოს თანადგომით უნდა მოიარონ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ცხელი წერტილები. მშვიდობის, ბუნებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობა შეახსენოდა ყველას და მათთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით ქვეყნებებს მოჰფინონ ნახაზი, განცდილი და მოსმენილი.

ბატონი გიორგი კრასნოსკისათვის ეს მეთორმეტე მოგზაურობა, ამას წინათ მეთორმეტე, მოსკოვი-პარიზი, აგრეთვე, ველოსიპედით და ასევე მშვიდობიანი მისიით, ფინეთის, ნორვეგიის, შვედეთის, დანია, გერმანიისა და საფრანგეთის გზებზე უვლია. დანარჩენი ათის შესახებ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ პრესკონფერენციაზე წარმოადგინო რუკაზე აღნიშნული ხაზების მიხედვით თუ განვსჯით, ჩვენი გმირის თავგადასავალი უთუოდ უურადლებდის დანიას. სხვა რომ არაფერი, ათასი და ათასი ჩვენებური, დიპიანი ახლაგზარდა თუ ასაკოვანისათვის იქნებ ჰქუის სასწავლაც იყოს.

ბატონი აქვე დავსძენ, ამ სტორიების ავტორი 1964 და 1975 წლებში საქართველოში გახმაურებული ველომოგზაურობების ერთ-ერთი მონაწილეა და გაზეთების („ლელო“ „თბილისის უნივერსიტეტი“) ფურცლებზე აღწერილი თავგადასავალია გადაკითხვა და ფოტოსურათების გადათავალიერება დღესაც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ხოლმე...

ახლა მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ, საფრანგეთისა და რუსეთის მკვლერი რვა ბერიკაცი, რვა პენსიონერი (ამ სიტყვას ისინი ხშირად და ხაზგასმით იმეორებდნენ) 65 დღის განმავლობაში ცხრა ქვეყანას (საშუალოდ დღეში 50-90 კილომეტრს), ხოლო სულ 4500 კილომეტრს გაივლინ.

არ ვიცი, კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის, ბუნებისა და ადამიანის უფლებათა დაცვა-განმტკიცების საქმეს მათი მოგზაურობა როგორ წაადგება, მით უმეტეს, როცა ამ სამ სიკეთეს სულ ოცნა სამასი ბოროტი ძალა ემტრება, მაგრამ ცდა ბედის მონახვერეაო, ნათქვამია.

პრესკონფერენციის მონაწილე ერთმა შემოქმედმა სტუმრებს თამამად და არაორაზროვნად მოახსენა, თქვე კეთილი ხალხო, რაღა აქეთ წამოხვედით, პირდაპირ კრემლისათვის მიგეშართათ, კავ-

კასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხების უბედურებათა უმეტესობა სწორედ იქიდან მოდისო... უნდა ითქვას, ეს შენიშვნა ბატონ გიორგი კრასნოსკის არ გახანრება, გაცხარდა და გაიწმამა, ამ დროს ის მართლაც საოცრად ჰგავდა მწუხარე სახის რაინდს, რომელსაც სურვილი სიკეთის ქმნისა, ბოროტის დათრგუნვისა ყოველთვის მეტი ჰქონდა, ვიდრე ამისი ნიჭი, ძალა და ენერჯია.


სტუმრებმა საქართველოში მრავალი ჰუმანიტური მეგობარი შეი-

ძინეს. ბატონი გიორგი მშვიდობიანი, საქართველოს მშვიდობის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე, ჩვენი უბირველესი მასპინძელი და მეკავშირეაო, ბრძანა ველოგადარბენის ხელმძღვანელმა, ხოლო ბატონი თედო ნიკოლაიშვილი, გზხეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფოტოკორესპონდენტი და საქართველოს ველოტურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩინებულ მეგზურობას გვიწვესო...

პროფესიული ალლო თუ არ მლაღატობს, ამ გაცნობა-დამეგობრებას ახლო მომავალში მოჰყვება საქართველოს მწვენიების საოცნებო ეკოლოგიური ველომოგზაურობა — შავი ზღვის გარშემო და, რა თქმა უნდა, პირდაპირი ველოგადარბენა თბილისი-პარიზი.

გვანჯი მანია.

სურათებზე: ველომოგზაურები გამოცემლობა „სამშობლო“ წინ, ცენტრში ბატონი გიორგი კრასნოსკი, მარცხნიდან პირველი ბატონი თედო ნიკოლაიშვილი; ველოგადარბენის მარშრუტი — ბაქო-აღღეჯანდრია.





# „ეს! ამერიკა, ამერიკა...“

## საანალიზო-საპრობლემური მუშაობა

იანერის ბოლოს აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, თავისი პრეზიდენტობის ერთი წლის თავზე საანალიზო მოხსენებით გამოვიდა კონგრესის წინაშე. ეს გამოსვლა ტელევიზიით გადაიკა მთელ ცივილიზებულ სამყაროში (არ ვაძვირებთ, იგი გადასცეს თუ არა სსრ კავშირში).

ბუშის გამოსვლა ძალიან ეფექტური იყო, ხშირად ტაშით აწყვეტილებდნენ, რამდენჯერმე ფეხზეც კი ადგნენ. მან თითქმის ყველა სფეროში მიმოიხილა.

„...ამერიკა — სთქვა მან — არის იდეა თავისუფლებისა, რომლისკენაც ოცნების ყველა ცივილიზებული ხალხი.“

ამერიკის აქვს სამი ძირითადი პრინციპი, რაც ადამიანს უნდა ჰქონდეს: 1) ადამიანის სიცოცხლის უფლება; 2) თავისუფლების უფლება; და 3) ბედნიერებისაკენ ლტოლვის უფლება.

ამ იდეების გარშემო შეიმოქარაბნენ მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, ამერიკა ვახდა მამობრავებელი ძალა დემოკრატიისა და თავისუფლებისაკენ. ამისკენ მიიღრმავდა მსოფლიოს პროგრესული ნაწილი. მაგალითად, შეიქმნა დავასახელებოთ ის მოვლენები, რომლებიც ხდებდა აღმოსავლეთ ევროპაში. მოვლენები აქ ელვის სისწრაფით განვითარდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ერთი პოლიტიკური ამბობდა, რომ „ბერლინის კედელი“ სულ ოცდასი წელი მაინც იდგებათ. დღეს „ბერლინის კედელი“ უკვე ისტორიაა. ან კიდევ, ჩეხოსლოვაკიელი დრამატურგი ვაცლავ ჰაველი, რომელიც პოლიტიკური პარტიზანი იყო, უცხად, ერთ წელიწადში პრეზიდენტი გახდა. ან კიდევ რუმინეთი, რომელმაც ჩაუშვს პლეტატურა დაამხო; პოლონეთი, უნგრეთი... ძალიან ბიბლიკურად პროცესები მიმდინარეობს საბჭოთა კავშირშიც, მაგრამ ჯერ კიდევ არა ერთ ბოლომდე დარწმუნებული საბჭოთა კავშირის მომავალში, რომელიც, მართალია, დიდი შემცირებით, მაგრამ მაინც აწარმოებს სტრატეგიული შეიარაღების მოდერნიზაციას. ამიტომ, ჩვენც იძულებული ვართ გავაგრძელოთ ჩვენი სტრატეგიული შე-

იარაღების მოდერნიზაცია და ევროპულ, „სოი“ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში (ამ სიტყვებზე დარბაზი ფეხზე წამოდგა და ისე დაუკრა ტაში).

ამავე დროს ჩვენ მზად ვართ. შეიარაღება ევროპაში მინიმუმამდე დავიყვანოთ. მე დღეს დილით ველაპარაკე პრეზიდენტ გორბაჩოვს და შევთავაზე ევროპაში ჯარის რაოდენობა ორივე მხრიდან დავიყვანოთ 195 ათასამდე თითოეულმა ქვეყანამ, (ტაში). დარჩენილი ჯარების ძირითადი მასა განლაგებული იქნება გერმანიის ორივე მხარეს. გარდა ამისა, ჩვენ გვეყოლება მცირეოდენი ჯარი ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. ეს წინადადებები ემყარება ჩვენი სამხედრო ექსპერტების რჩევას...“

ედმონტონში ერთი დღე თავისუფალი გვექონდა და წავიყვანეს ექსპერტთაზე. ჯერ ქალაქის ლირს შესანიშნავი გვაჩვენეს, რომელმაც ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მერე როცა გვითხრეს, რომ უნივერსიტეტი უნდა გაჩვენოთ, შევუყვანდით, მასამბლეებს გაცივინათ და გვითხრეს: ეს ჩვეულებრივი უნივერსიტეტი არ გეგონოთ, იქ ლირს ექსპერტთაზე წასვლაო.

ალბათ, როცა ლაპარაკია უცხოურ უნივერსიტეტ მალაზიაზე, ყველა თქვენგანს თვალწინ წარმოუდგება სხვადასხვა საქონლით გადატენილი დასახლები. ეს თავისთავად, მაგრამ ის რაც ვნახეთ ედმონტონის უნივერსიტეტში, ალბათ, არც ერთ ჩვენგანს არ წარმოედგინა.


როგორც გვითხრეს, მალაზიის უკირავს დაახლოებით მთელი ქალაქის 1/10 ფართობი. ოგი რამდენიმე სართულიანია. სხვადასხვა სექციებში სხვადასხვა სახისაობაა წარმოდგენილი. ერთ სექციაში გაყვანილია უშველებელი არხი, რომლის ერთ ბოლოში დგას საკმაოდ დიდი, ძველბურთი (XVIII ს.) ულამაზესი იალქნიანი გემი. გაწყობილი ძველბურთი ნივთებით, ამ გემთან ასევე, არხის ფსკერზე დგას ასევე ძველბურთი გემი, რომელიც კარგადაა განათვლილი. იგი დაფარულია ყანვითა და წყალმტენარებით. მასში დატურავენ ოქეანის და ზღვის ბინადრები. არხში დატურავს წყალქვეშა ნავი, რომელიც პერიოდულად ზედაპირზეც ამოდის. მსურველებს შეუძლიათ ამ არხში ნავით გაისიონონ. ყოველივე ეს საოცარ შთაბეჭდილებას სტოვებს. თქვენ შეგიძლიათ ივარჯიროთ, თანაც ზემოდან უყურით ამ იშვიათ სახისაობას.

სხვა სექციებში მოწყობილია მანქანების გამოფენა, სადაც იყიდება მსოფლიოს თითქმის ყველა ფირმისა და მარკის ავტომობილები. სხვაგან კიდევ ისეთნაირი გასართობი ატრაქციონები და სათამაშოებია ბავშვებისა და დიდებისთვისაც, რომლის მსგავსი მხოლოდ „დისნეილენდში“ თუ მინაბაეს. საოცარი სისწრაფით დიდები პატარა ვაგონებში მარტარებლები, კოსმოსური ზომბოდები, თვითმფრინავები, სათამაშო მანქანები, მოტოციკლები და სხვა. თვალს მოკრის ათასნაირი ელექტროსათამაშოები კომპიუტრებით, მულტფილმებით, საშინალებათა ფილმებით და მრავალი სხვა. ყოველივე ამის გვერდზე იყიდება ყველაზარი საქონელი და პროდუქტი, ალბათ, რაც კი მსოფლიო ცივილიზაციას შეუქმნია. სხვა სექციებში გარეული ცხოველები და ორინველებია. ბავშვები საამოვნებით ეთამაშებიან ხონხებს, ფარშევანგაქს, სირაქლეებს, შველებს, პატარა ცხენებს — „პონებს“ და სხვა.

უნივერსიტეტის ერთ განაპირა მხარეს გაკეთებულია სელონური ზღვა, აქ ნამდვილი ზაფხულის კლიმატია შექმნილი, საოცრად ლამაზი პლაჟებით. სელონური პლაჟებით და სხვა მცენარეებით. ეს პლაჟები მუდამ საესეა ბანაობის მოყვარულებით. მოკლედ, ამ უნივერსიტეტში მოდიან ახლომანლო ქალაქებიდანაც არა მარტო სავაჭროდ, არამედ დასათვალიერებლად და დასასვენებლადაც.

ამ უნივერსიტეტიდან გამარტებულეში გამოვედით. რასაკვირვებია, ვეკლას თვალწინ გვედგა ჩვენი უნივერსიტეტი დაცარიელებული დაბლებით და კილომეტრებიანი რიგებით.

შემდეგ ქალაქი, სადაც კონცე-



რტი გვემართეთ, იყო კალგარი. ჩვენ, გზას დიდი დრო მოვანდომეთ, ამიტომ ბიბისმა ჩვენი ავტობუსი პირდაპირ საკონცერტო დარბაზთან მიიყვანა. აქაური საკონცერტო დარბაზი, ისევე როგორც სხვები, სადაც კი კონცერტები გაგმართეთ, არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. ვერ იტყვი, რომ გარედან დიზაინი რაღაც განსაკუთრებულია და თავისი არქიტექტურით თვალს გჭრით. პირიქით — გარედან საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა ერთი შეხედვით საკმაოდ უფერულადაც გამოიყურება, მაგრამ შეხვალთ თუ არ შევინთ, იმ წუთშივე უკანვე წაიღებთ თქვენს პირველ შთაბეჭდილებას და აღტაცებული რჩებით. დარბაზების უმეტესობა 2000-ზე მეტ მაყურებელს იტევს. პარტური საოცარი გამოვებითაა გაფორმებული, იშვიათი რბილი სკამები, ფართო გასავლელი, უხმაური კონდენციონერები, კარგი განათება, ყველა ადგილიდან საოცარი ხილვადობა. სცენა აღჭურვილია ტექნიკის უკანასკნელი სიკეთით, საუკეთესო მიკროფონები და გახმობენა, ტყვადი გასანდლები, იშვიათი მომსახურება. ბრწყინვალე ფოთები ბარებიან და ესკალატორებით. მოკლედ, ასეთია კანადისა და აშშ-ს საკონცერტო დარბაზების უმრავლესობა, ასეთია ქ. კალგარის საკონცერტო დარბაზიც, სადაც ჩვენი კონცერტი დიდი წარმატებით ჩატარდა.

მეორე ექვ თავისუფალი გვექონდა და ნამუდღევს ქალაქი დავათვალიერეთ. კალგარი ერთერთი თანამედროვე ქალაქია კანადაში, ულამაზესი ცათაბჭვებითა და სხვა იშვიათი თანამედროვე არქიტექტურით. ორ ერთნაირ შენობას ვერ ნახეთ, ყველა მათგანი სხელოვნების ნიმუშია. ამ ქალაქში, ისევე როგორც სხვაგან, შესასწავლი სიყვარუ და სიმშვიდეა. თუმცა საკმაოდ დიდი თოვლი იღო და ძალიანაც ციოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით დავატრებდით ქალაქის ქუჩებში, რომელიც სავსეა რესტორნებით, ბარებითა და მალაზია-გასტრონომებით, სადაც ათასნაირი საკმელსასმელი იყიდება. მალაზიებში ხალხი კანტი-ტენტად დადის და მე სულ ერთი აზრი მაწუნებს: ვინ ყიდულობს ან როდის საღებდა ამდენი პროდუქტი. სამწუხაროდ, როცა უცხოეთში ვარგ რამეს ვნახავ, მაშინვე ჩვესას ვადარებ და იმდენს ვაქნევ სინანულისაგან თავს, რომ ამ ბოლო დროს თავის ქიციანი დამჩემდა.

თუმცა ყინვა 30 გრადუსამდე აღწევს და ბარები სავსეა ხალხით, მაგრამ ჩვენ იქ მთავარი არავეინ გვინახავს. ხალხი ბარებსა

და დაუწყაო. ამის დამნახავს სხვა მუშებშიც მიატოვეს თავიანთი ურთიკები, გვერდით მიუწვენ თავიანთ მეგობარს და კოლექტიურად დაუწყეს ლვინოს ხერვა. მერე ჩხუბი მოუვიდათ, და ზუსტად ისე ურტყამდნენ თავებს ერთმანეთს, ძალღებმა რომ იციან, როცა ერთ მათლათაში ჩაუსხამენ შექამანდს.

არა, ამის აღწერა არ შეიძლება, ეს უნდა გენახათ.

„აი, ზომ ზედაც, აბა კანადაში ერთი მთვრალი თუ გინახავს“, — მიიხრა ომარმა.

— როგორ არა-მეთქი, ვუთხარი — და მოუყვივი ერთი ამბავი, რომელიც 1967 წელს შეგვემთხვა, მაშინ „გორდელა“ გამოფენა „ექსპო — 67“-ზე გამოდიოდა მონრეალში. კონცერტის შემდეგ გვიან ღამით სასტუმროში ვბრუნდებოდით. ქუჩაში სიჩუმე სუფევდა. უცებ ქუჩის განაპირას ბუჩქებში ვილაცა მთვრალი ღრიალი მართო:

— ავი მთვრალი კაცს ვერ ნახეთ კანადაშიო — თქვა ბადრი თოიქემ.

— „მაგი თუ რუსი არ იქნება, ეს ყურები მომაქვრით“, — უთხრა გომარ სიხარულით და ბუჩქებში ჭაგორებულ მთვრალს რუსულად „მისიყვარულა“.

მთვრალი წამოიწია და ისეთი ცხრასართულიანი დაუბურღავა რუსულად გომარს, რომ ივანე ჭავჭავაძის ვილოსი არ იყოს, „რუსის სალდათიც კი სირცხვილისაგან გაწითლებოდა“.

შე თებერვალს გადავიარეთ „როკი მაუთინს“ (კლოვანი მთები). ეს მთები „ბრითიშ კოლუმბიას“ პროვინციაში მდებარეობს. დილით გზა ძალიან მიმზე და საშიფათო იყო. მთელ გზაზე თოვლი მოდიოდა. ბურუსისაგან ხანდახან არაფერი ჩანდა, ამიტომ მძღოლს, რომბრტს, რამდენჯერმე მოუხდა ავტობუსის გაჩერება. დღის მეორე ნახევარში თოვა შეწყდა, განათდა. გამოჩნდა მთები და მდინარეები, გზაზე ბევრი გარეული ცხოველი დავინახეთ. განსაკუთრებით ბევრია ლოსი, ირემი, ტურბა, მელა. დავინახეთ რამდენიმე მგელიც, რომელიც გზის პირას ჩაუტყულოყო. ერთ მათგანს სულ ახლოს ჩავუარეთ. იგი არც განძრეულა. გზაზე რამდენიმე ადგილას ვნახეთ ირემები, რომლებიც მანქანას გაეყვლიტა, ზოგს ტურები ეხვეოდნენ, ზოგსაც — ყვავები.

კანადაში ნადირობა სეზონურია. იყიდება ლიცენზიები. იგი იმდენად ძვირია, რომ ნადირობა შეზღუდულია. ამიტომ მგლები იმდენად მომრავლდნენ, რომ დიდ ზიანს აყენებდნენ გარეულ ცხოველებს. მთავრობა იძულებული შეიქნა გამოეცა სპეციალური კანონი და მგლებს ვერტმფრენებიდან ხოცავდნენ.

ყოველივე ეს რომერტმა გვითხრა, მანვე გვიამბო ერთი საინტერესო ამბავიც:

ტერი ფოქსს — 23 წლის ახალგაზრდას დაემართა ავთვისებიანი სიმსივნე, რის გამოც მას ცალი ფენი მოჰკვეთეს. ცალფენი ტერიმ გადაწყვიტა პროტეზით გადაერბინა მთელი კანდა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, შეგროვების თანხა და ჩაერცხა იგი კობოს საწრანომდგო ინსტიტუტისათვის. ფოქსმა ვანსლო 3000 ჟ, რასაც წელიწადზე ნაკლები დრო მანამომოა იგი მივიდა ტანდერბიმდე და შეწყვიტა სირბილი, ვინაიდან მეტასტაზები ფილტვებში წავიდა. ფოქსი მთელ ვარდაიცოცხლა. მისი დაწყებული საქმი გააგრძელა მეორე ახალგაზრდამ, ისეთივე ავადმყოფმა სტივენ ფონომ. რომელმაც წელიწადნახევარში 5800 კმ გაიარა და დაამთავრა თავისი წინამორბედის დაწყებული საქმი. ყველა დამაში, სადაც შეიღდნენ მობრენლები, ამ კეთილშობილი საქმისათვის ფულს უგროვებდნენ ხალხიც და მთავრობაც. სულ შეაგროვეს 25 მილიონი დოლარი და ჩაირცხეს იგი კობოს საწინააღმდეგო ცენტრში. ტერი ფოქსის პატივსაცემად ერთერთ მთას დაარქვეს მისი სახელი, ასევე ფოქსის სახელი ეწოდა 100-კილომეტრიან ტრასას ნიპაგონინთან ტანდერბიმდე. ხოლო ერთერთ სანაპიროს კანადის დასავლეთით, სტივენ ფონოს სახელი ეწოდა.

## დარგთაშორისი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქინფორმსამართალი“ და მცირე საწარმო „ორლი“

გთავაზობთ

გაფართოებული კონფიგურაციის IBM თავსებად PC/AT  
პერსონალურ კომპიუტერებს.

ანგარიშსწორება წარმოებს გადარიცხვით.

ფასი არაუმეტეს 45 ათასი მანეთისა.

ორგანიზაციებისთვის, რომლებიც შეიძენენ 10-ზე მეტ  
კომპიუტერს,

ცალის ფასი იქნება არაუმეტეს 42 ათასისა.

მოწოდება ხელშეკრულების დადების დღესვე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბუდაბეშტის 1.

ტელ: 10.00 — 17.00 სთ 37-58-25 36-66-47

ორი წელია, რაც თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებული კოოპერატივი „მკურნალი“ ეწევა ნაყოფიერ მუშაობას ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საქმეში. კოოპერატივი იმთავითვე დაკომპლექტდა პროფესორებითა და დოცენტებით, რომლებიც სახელგანთქმულნი არიან მთელ საქართველოში. შინაგანი — პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე; სისხლძარღვთა ექიმი — პროფესორი გიორგი ნაცვლიშვილი; ოკულისტი — პროფესორი რევაზ გურგენიძე; დოცენტი შოთა შარაშენიძე. გენეკოლოგები — პროფესორი ვახტანგ კურცხალია; ნიკოლოზ ჩხატარაშვილი; უროლოგები გიგა თოხაძე და ლევან შვილიძე; თერაპევტ-კარდიოლოგი-დოცენტი: ოთარ გვანცელაძე, გიორგი გველესიანი; ენდოკრინოლოგი — ციური ბობოხიძე; ნევროპათოლოგი ალექო ბოკუჩავა. კოოპერატივში მიმდინარეობს თანამედროვე გამოკვლევები და კლინიკო-ბიოქიმიური ანალიზების ჩატარება. ტარდება რენტგენოსკოპია, რენტგენოგრაფია, გასტროსკოპია, შინაგანი ორგანოების ექოსკოპია. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ კოოპერატივ „მკურნალი“ ხდება ქალის ორგანოების ექოსკოპია. ჩიყვის ექოსკოპირება და ქალის მკერდის ექოსკოპირება. ზემოაღნიშნული პროფესორების გვერდით მუშაობენ ისეთი სახელმწიფო ექსტრასენსები, ბიოდენებით მკურნალები, როგორებიც არიან ინა კარახანი, ნანა შიოშვილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქ ხდება კომპლექსური მკურნალობა როგორც პროფესორებთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში ექსტრასენსებთან. მათ ჯადოსნურ ხელებს შეუძლიათ განკურნონ შემდეგი დაავადებები: ნევროზები, ოსტეოქონდროზი, მაროდების დაგროვება, თავის ტვინის, თავბრუსხვევა, თავის ქალის შიდა წნევის მომატება, კოლიტა, კოლექციტიტა, გასტრიტი, ართროზი, ართრიტი, განსაკუთრებით კარგი შედეგია შარდის შეუკავებლობაზე, როგორც ზავებში, ასევე მოზარდებში. გაიხსნა ირიდოლიავნოსტიკის კაბინეტი, სადაც თვალის ფერადი გარსის მიკროსკოპიული დათვალიერებით ხდება შინაგანი ორგანოების დაავადებათა დიაგნოსტიკა. ყოველ დღე მოდის წერილები მაღლიერი პაციენტებისაგან. ასევე პაციენტებისაგან, რომლებიც ითხოვენ დახმარებას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვცდილობთ უარი არ ვუთხრაოთ და მოსულ პაციენტს იმავე დღეს აღმოვუჩინოთ დახმარება. ძალიან ბევრი ავადმყოფი მოდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არა მარტო იმიტომ, რომ ძალიან კარგი სპეციალისტები გყავს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთან მოსვლა ძალზე ადვილია. ჩვენი მისამართია წინანდლის ქ. №8, მეტრო „300 არაგვილი“, ქალაქის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე. ტელ. 74-47-75. მიღების საათები ყოველ დღე 16-00-დან 20-00-მდე. შაბათს 10-00-დან 13-00-მდე. კვირა დასვენების დღე.

ხალხური მედიცინისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის საერთაშორისო ცენტრში „იადიგარ დაუდი“ მუშაობას შეუდგა ხალხური მკურნალი ვენერა ბაგვაშვილი. ქ-ნი ვენერა მკურნალობს ახალშობიარეთა მწვავე და ქრონიკულ მასტიტს, ბრონქიალურ და კარდიალურ ასთმას, წითელ ქარს, ფლობს რძის მომწვან საშუალებებს. ტელ: 99-75-79, მისამართი: გალაქტიონის ქ. №3/5 (თავისუფლების მოედანთან), ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 10<sup>00</sup>-14<sup>00</sup> საათამდე.

მცირე საწარმო „ესთეტი“ აცხადებს მუშების მიღებას სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად. ცნობებისათვის მიმართეთ ალ.ყაზბეგის პრ. №44 (ყოფილი პავლოვის ქუჩა). ტელეფონი 39-48-27.

ავტომატების, აგარაკებისა და საცხოვრებელი სახლების შექმნის, გაცვლის ან გაყიდვის მსურველებს შეუძლიათ დახმარებისათვის მიმართონ სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივ „სამება-2000“-ს ტელეფონებით: 62-18-40 (10სთ-დან 12სთ-მდე) და 68-30-33 (16სთ-დან 18სთ-მდე), უქვე დღეებში — 96-52-00 ან მიაკითხეთ მისამართზე: ულიანოვის I შესახვევი №16 (10სთ-დან 14სთ-მდე).

ხალხური მედიცინისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის საერთაშორისო ცენტრში „იადიგარ დაუდი“ პაციენტებს იღებს ფოტოთერაპევტი ქ-ნი ნაზი ლომიძე. ხალხური სამკურნალო წამალი, რომელიც მზადდება დიდებისათვის შავ ლენოზე, პატარებისათვის ყურძნის წვენი კურნავს სიყვითლეს, ბოტკინს და მისგან წარმოშობილ გართულებებს, იგი წმენდს, ასუფთავებს სისხლს ყოველგვარი მიკრობებისაგან. თირკმელებში და ნაღვლის ბუშტში ადვილწვევ, შლის ქვებს, გამოაქვს ნალექების სახით. არეგულირებს კუჭ-ნაწლავთა სისტემას, წმინდავს ჩირქისგან. შველის კოლიტს და ვენების შევიწროებას. ბიოდენებით აკრობს დარტყმის შედეგად გამოწვეულ სიმსივნეს, ხსნის ანთებებს, ბლოკირებას აკეთებს სიმსივნეზე (კომპლექსური მკურნალობით — ბალახეული სითხით, მალამოთი და ბიოდენით). შველის იშიაზს, თავის ტვინილებს, უძილობას, ინფარქტგადატანილ გულის დაავადებებს. მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. მისამართი: გალაქტიონის ქ. 3/5 (თავისუფლების მოედანთან), ტელ: 99-75-79 ყოველდღე, გარდა კვირისა 1600-1900 საათამდე.

შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „ჰიმერიონი“ სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, დღესასწაულებისათვის, უცხოელი სტუმრების მიღებისათვის, წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს არენდით სთავაზობს კლუბის შენობას. კლუბში თქვენს განკარგულებაში იქნება საბანკეტო დარბაზი, ბარი, კვებლბანი და სხვა. ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით. ჩვენს კლუბში გატარებული საღამო თქვენ მოგანიჭებთ უდიდეს სიამოვნებას. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 51-98-41 86-75-01

189-ე საშუალო სკოლის დირექტორი იუწყება, რომ 1991-92 სასწავლო წლისათვის სკოლა გადადის დიფერენცირებული სწავლების 3 პროფილზე: ჰუმანიტარულ, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო. მისაღები გამოცდები ჩატარდება ა.წ. 1-დან 20 ივნისამდე. მსურველებს გთხოვთ წარმოადგინოთ საბუთები. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექტივას. ტელ: 67-74-33 67-73-55

მუსიკალური ინსტრუმენტების საწარმოო გაერთიანებასთან არსებული კოოპერატივი „სიმი“ ვამზადებთ ორსაწლიან არაბული სტილის ტახტებს. შეკვეთებს ვღებულობთ ყოველდღე 9 სთ-დან 17 სთ-მდე (უქმე დღეების გარდა). მისამართი: ფეიქრების 14, მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკასთან არსებული კოოპერატივი „სიმი“

მუდმივ. სამუშაოზე, მთარგმნელად, ვიწვევთ იაპონური ენის სპეციალისტს. მისამართი: ბუდაბეშტის 1. ტელ. 37-58-25 ფირმა „არგო“

ვცვლი კერძო სახლს მოსკოვის ოლქიდან თბილისში კერძო სახლზე. ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე 31-29-35 საღამოს საათებში